ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი # 96

20 ოქტომბერი 2020 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, დავით უთმელიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე

საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: (11-01202933287;11-012302891472) ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ (#15-0320293116-03; 15-032028955-03)

2. „ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე (ნაკვეთი N02/008 საკადასტრო კოდი: N01.19.14.002.008)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-032028163-03

3. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "12-032028164-03

4. "ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N46ა-ში, (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "12-032028164-03

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტისთვის" (ს/ნ: 400193090) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე. 12-032028798-03

6. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N3-ში, (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.008.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". 12-03202891-03

7. "ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში, (საკადასტრო კოდი: N01.17.09.0007.005.02.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-03202891-03

8. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.079.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.12-03202891-03

9. ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.17.002.091) პირდაპირი გაკარგვის წესით გოჩა აბაზაშვილისთვის იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე12-032029024-03

10. „ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "12-032029051-03

11. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N6-ში(საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.054.01.504 და N01.15.07.003.054.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "12-032029052-03

12. "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N27-ში(საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.011.01.524) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-032029052-03

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

14. ქალაქ თბილისში, ბარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.009.028) 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მზეკაბანისათვის" (ს/ნ: 204392031) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: (11-01202933287;11-012302891472) ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილების შესახებ

მომხსენებელი-ლევან მიქავა.

ლევან მიქავას თქმით, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, „სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის" პროგრამას ემატება 100 000ლარი, „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობის" პროგრამას 220 000 ლარი, სპორტული ღონისძიებები"ს პროგრამას 85 000 ლარი და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის" პროგრამას 30 000 ლარი. ასიგნებების გაზრდა ხდება „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის" და „კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების „ პროგრამებში არსებული თავისუფალი რესურსით. აღნიშნულ პროგრამებში ასიგნებების გაზრდა გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი COVID პანდემიის გამო. ბევრი ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე, განსაკუთრებით ტურიზმისა და მომსახურების სფეროში. მუნიციპალური პროგრამის" ისწავლე და დასაქმდი" ფარგლებში კერძო სექტორთან თანამშრომლობით, შრომის ბაზარზე ყველაზე მოთხოვნად სპეციალობებში ხდება მოქალაქეების პროფესიული მომზადება და მათი ხელშეწყობა დასაქმების მიზნით. გარდა ამისა, სწავლის პროცესის შეწყვეტის გამო, სახელოვნებო სკოლებსა და სპორტულ ცენტრებს არა აქვთ საკმარისი რესური თანამშრომელთა ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის

დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი დანარჩენი საკითხები, კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე (ნაკვეთი N02/008 საკადასტრო კოდი: N01.19.14.002.008)მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის წერილებით დაყენებულია შუამდგომლობა ქალაქ თბილისში, საქნავთობის დასახლებაში, ჭირნახულის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი: N 01.19.14.002.008) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართების იმ პირთათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 5 პირს, (5 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები. კერძოდ: გიორგი გველესიანს (პ/ნ 01028004272) ; შაქრო ტყემალაძეს (პ/ნ 01028006506), მზია ღონიაშვილს (პ/ნ 01027042688) , ნატო ტაბიას (პ/ნ 02001017431), და ნონა ფრანგიშვილს (პ/ნ01028005344)) აღნიშნულ პირებს, რომლებიც 1986-2010 წლებიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, გადაეცემათ საერთო ჯამში 165.01 კვ.მ. ფართი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუს N3-ში, მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით, საკუთრებაში გადაცემა 4 პირს (4ოჯახს: დავით ბრეგვაძე პ/ნ01027041587; ნუგზარ მელუა პ/ნ 01027053586; გიორგი ვალაშვილი პ/ნ 01027040401 და ნათელა ფსუტური პ/ნ 01002021779) საერთო ჯამში 286,32 კვმ ფართი

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N46ა-ში, (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.508) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა-ში, პირველ სართულზე, მდებარე 55.24 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011.02.508) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლევან კახიშვილის (პ/ნ: 57101066704).წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით შესაბამისი გამგეობისა და მსს წერილები.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტისთვის" (ს/ნ:

400193090) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „საქართველოს პარალიმპიური კომიტეტს" (ს/ნ: 400193090) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 2 მიკროავტობუსი, რომელთა საერთო ღირებულებაა 20 000 ლარი . პარალიმპიური კომიტეტის" პრეზიდენტი წერილობით განცხადებაში აღნიშნავს, რომ სხვადსხვა სპორტული ღონისძიებების ფარგლებში პარასპორტსმენების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, მუდმივად ესაჭიროებათ ადაპტირებული ტრანსპორტის სერვისით სარგებლობა, რისი შეძენის რესურსიც კომიტეტს არ აქვს.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N3-ში, (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.008.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე".

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა, N3-ში, მე-2 სართულზე, ბინა N3-ში მდებარე 69.89 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.008.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მანანა მზარეულიშვილს (პ/ნ: 01001019639), რომელიც 30 წელია ცხოვრობს და სარგებლობს აღნიშნული ფართით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში, (საკადასტრო კოდი: N01.17.09.0007.005.02.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში, პირველ სართულზე, მდებარე 51.47 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.09.0007.005.02.511) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზაზა ნაჭყებიას (პ/ნ: 01011048110).მოქალაქე 1992 წლიდან ცხოვრობს და სარგებლობს ამ ფართით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N1-ში, (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.079.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ქალაქ სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N6-ში, პირველ სართულზე მდებარე 78.54 კვ.მ და მე-2 სართულზე მდებარე 85.61 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.054.01.504 და N01.15.07.003.054.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა

მოქალაქე ეთერ კვარაცხელიას (პ/ნ: 01017036030) . ქალბატონი ეთერი ოჯახთან ერთად 30 წელია ცხოვრობს ამ ფართში.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.17.002.091) პირდაპირი გაკარგვის წესით გოჩა აბაზაშვილისთვის იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

გოჩა აბაზაშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობაში გადაეცემა ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N18-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.10.17.002.091), 5 წლის ვადით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. მის მიერ წარმოდგენილ იქნა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N18-ში არსებული ფართი (ს/კ: 01.10.17.002.005.01.501), თანასაკუთრების უფლებით რეგისტრირებულია გოჩა აბაზაშვილის და სხვა თანამესაკუთრეთა სახელზე. ამასთან, გოჩა აბაზაშვილი მიერ წარმოდგენილია აღნიშნული ფართის სხვა თანამესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა და მინდობილობები რომლითაც მას ეძლევა თანხმობა მითითებული ფართის იჯარით მიღებასა და თანამესაკუთრეების სახელით, შესაბამისი ქმედებების განსახორციელებლად. წლიური საიჯარო ქირის საფასურია - 1200 ლარი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით ქალაქ თბილისში, შუამთის ქუჩა N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.027) მდებარე უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (5 ოჯახს) დავით ამირაშვილს პ/ნ 01027000026 , გიორგი ტოროშელიძეს პ/ნ 33001010596 , ჯემალი ქარჩხაძეს პ/ნ 60002011307, მაია ოთარაშვილს პ/ნ 01029004568 და კახაბერი ბედიას პ/ნ 01911098389 - საერთო რაოდენობით ჯამში 385.41 კვ.მ.) ეს ოჯახები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N6-ში(საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.054.01.504 და N01.15.07.003.054.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხი, N1-ში, მე-2 სართულზე, ბინა N4-ში მდებარე 73.57 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.079.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნაზი მათიაშვილს (პ/ნ: 01017026375) .

წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დადასტურებასტან დაკავშირებით შესაბამისი გამგეობისა და შსს წერილები, აგრეთვე მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N27-ში(საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.011.01.524) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N27-ში, მე-4 სართულზე მდებარე 99.44 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.011.01.524) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, თანასაკუთრებაში გადაეცემა მოქალაქეებს გიორგი ისაკაძესა (პ/ნ: 01025014076) და ცირა ზუხბაიას (62006055665) .აღნიშნული პირები დიდი ხნისგანმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ ამ ფართით.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ქონება (მეორადი მავთულბადე და ლითონის უჯრები საერთო თანხით 4680 ლარი) , სამგორის რაიონში ნასაგურის წმ.გიორგის სახელობის ტაძრის შემოსაღობად.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.009.028) 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მზეკაბანისათვის" (ს/ნ: 204392031) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

„ქალაქ თბილისში, ბარათაშვილის ქუჩა N12-ის მიმდებარედ არსებული 128 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.18.03.009.028) 19 კვ.მ მიწის ნაკვეთი, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემა შპს „მზეკაბანის" (ს/ნ: 204392031) ღია კაფეს მოწყობის მიზნით. მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურია 3 420 ლარი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **ოთარ გრიგოლია**